

899 963-1

2-901

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მრეელიშვილი ნანა

გრიგოლ ნოსელის „გრიგოლ საკვირველთმოქმედის
ცხოვრების“ ქართული ვერსია

10.01.01. – ქართული ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაციის

ავტორეფერატი

თბილისი
2001

ტირაჟი 100




გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1

10
11
2001

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი ხინთიბიძე ელგუჯა



- ოფიციალური ტომონეტები: 1. ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფ. ბაქანიძე ოთარ
(10.01.01)
2. ფილოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი, დოც. ჯღამაია ციალა
(10.01.01)

დისერტაციის დაცვა შედგება 2002 წლის 13/5 15 საათზე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის სადისერტაციო საბჭოს
(P10.01.C N5) სხდომაზე
380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. № 1

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, 380043,
უნივერსიტეტის ქ. № 11

ავტორეფერატი დაიგზავნა 2001 წლის 10/11 ხაათი

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, ფილოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნ. გაბიძე

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა: გრიგოლ ნოსელის (ქალაქ ნისის
ეპისკოპოსი) სახელი კარგადაა ცნობილი ძველ ქართულ
მწერლობაში. იგი იყო უდიდესი მისტიკოსი. მეცნიერთა წრეში
მიჩნეულია თეოლოგიური მისტიკის ფუძემდებლად. მისი
თხზულებების ქართული თარგმანები ათეულობით
ხელნაწერშია დაცული. ჩვენ ვსწავლობთ გრიგოლ ნოსელის
„გრიგოლ საკვირველთმოქმედის ცხოვრების“ ქართულ
რედაქციებს. ძველი ქართული მწერლობის ცალკეულ ძეგლთა
შესწავლა საინტერესოა როგორც კონკრეტული თხზულების,
ისე მთარგმნელობითი გრადიციებისა და ზოგადად, ქართული
ფილოლოგიური აზროვნების თვალსაზრისით.

ცალკეულ მთარგმნელთა მთარგმნელობითი
მეთოდების განსაზღვრისა და თარგმანის დედნის გექსტთან
მიმართების დადგენისათვის აუცილებელი წინაპირობაა იმ
კონკრეტული პირველწყაროს მიკვლევა, რომლიდანაც
უშუალოდ ითარგმნა ესა თუ ის ძეგლი. ეს საკითხი ქართულ
ფილოლოგიურ მეცნიერებაში პრინციპულად დაისვა ჯერ
კიდეც 1969 წელს. „შეუძლებელია ქართველ მთარგმნელთა
მთარგმნელობით მეთოდებზე ვიმსჯელოთ, თუ ხელთ არა
გვაქვს მის მიერ ნათარგმნი სანდო გექსტი და სწორედ ის
ბერძნული რედაქცია, რომელსაც იგი თარგმნიდა. ამის
აუცილებლობას ის იწვევს, რომ თითქმის ყველა ძველი
ბიზანტიური ლიტერატურული ძეგლი ჩვენამდე ათობით
ბერძნული ხელნაწერთაა მოღწეული. ეს ხელნაწერები ხშირ
შემთხვევაში რედაქციულადაც განსხვავდება, ვარიანტულ
სხვაობებზე რომ აღარაფერი ვთქვათ“ (ე. ხინთიბიძე).

ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისი აუცილებლად
გასათვალისწინებელია მთარგმნელობით მეთოდებზე
მსჯელობისას. ხოლო თარგმანის დედანთან მიმართების

1820-1